

№ 2

თბილისი იანვარი

1959

1
1959

საბუღალტრო

გამოცემის XXXVII წელი უბანი 2 მან

საქონლის
საქონლის



ნახ. ჯ. ლოლუაძე

კომენტარები ზედმეტია



— როგორ ეტყობა ნათელას, წუნ-მდებლად რომ მუშაობს!
— როგორ?
— უკვე მეხუთე საქმრო დაიწუნა.



ს ვ ა დ ე მ ი ჟ ი თ ხ ი ზ ს ვ ა დ ი ს ა

ვინც-საქართველოს ისტორიაში ოდნავ მაინცა ჩახედული. მან არ შეიძლება არ იცოდეს, ერთ დროს საქართველოს მრავალრიცხოვან სამთავროებს შორის სამცხე-საათაბაგოს რომ დიდი წონა ჰქონდა. იგი იყო სამხრეთ საქართველოს ეკონომიური, კულტურული თუ პოლიტიკური ცხოვრების დედაბურჯი და მისი ცენტრიც, აი ახლა რომ ახალციხეა, სწორედ ის ახალციხე გახლდათ.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ აშენდა და დამშვენდა, თუმცა ერთი რამ მაინც უცვლელი დარჩა: ახალციხეს ახლაც დიდი წონა აქვს. ხუმრობა ხომ არ არის, იგი რკინიგზით ბარემ ხუთ რაიონს აკავ-

შირებს საქართველოს გულთან და, მაშასადამე, რკინიგზის სადგურიც გააჩნია, რომელზედაც, მკითხველის ნებართვით, ახლა გვინდა საუბარი ჩამოვავლოთ.

მოგვიტყვით, მკითხველო, კადნიერებად არ ჩავითვალთ, იმ დიდწონიან სადგურს ასე უბოდიშოდ რომ მივადექით, მაგრამ, რას იზამ, თავს ზევით არ არის გზა, გზა ახალციხეშია.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ, როცა ხეები მწვანე სამოსელისაგან იძარცვებიან, ახალციხეშიაც ცივა; ამბს იმისათვის მოგახსენებთ, რომ სხვანაირად ჩვენი საუბარი იქნება გაუგებარი დარჩეს და ჯობია კაცმა წინასწარ აიცლიოს ყოველგვარი გაუგებრობა.

ქალაქს მიმავალი ახალციხელები, ადიგენელები, ასპინძელები, ახალქალაქელები და ბოგდანოვკელები ახალციხის სადგურში იყრიან თავს და მათ თავყრილობას ერთი ყვირილი, აყალმაყალი და ვაიუშველებელი მოსდევს ყოველთვის, თუმცა, კაცმა სიმართლე რომ თქვას, სამხრეთელებზე უფრო დინჯი და მშვიდი ადამიანები ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში, მაგრამ განსაზღვრული პირობები, ანუ უკეთ, პირობების უქონლობა ქმნის ამ აყალმაყალს მათდა უნებურად.

იმ სიშორიდან კაცი ხელცარიელი როგორ წამოვა! ხელბარგთან ერთად ნაჭირნახულევიც ხომ ექნება წამოდებული და ისიც ბარაქიანად, რომ ჩამოიტანოს დედაქალაქში, გაყიდოს, რაც საჭიროა შეიძინოს, და დოვლათით ჩაუვიდეს ცოლ-შვილს, რიგიანად შემოსოს, დაამშვენოს, გაახაროს.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ეგაა სავალალო, რომ სადგურის საბარგო განყოფილება ერთიციქნა სარაიშია მოთავსებული და ეს მაშინ, როცა იმდენი ბარგი მოდის ყოველდღიურად, რომ ჯადოსანიც იყო, იმ პატარა ხუხულაში მაინც ვერ დატევ. ჰოდა, ამიტომაც ღია ცისქვეშ იმდენი ბარგი რომ ყრია, გეგონება სოფლელები აყრილან და მთელი სარჩო-საბადებელი თან წამოულიათო.

ისეთი ბარგიც არსებობს, რომ ღია ცის ქვეშ ერთ-ორ ღამეს არც მოიწყენს და არც გაფუჭდება, მაგრამ მთვარიდან არავინ ჩამოვფრენილვართ და, ჩვენთან ერთად, თქვენც მშვენიერად მოგვხსენებთ, რომ ბედის ანაბარად მიტოვებულ ბარგს პატრონის დაუკითხავად შეუძლია ადგილსამყოფელი შეიცვალოს და ვინმე-ვინმეებს ცთუნებისა და გზიდან აცდენის საბაზადაც ექცეს.

ჰოდა, რას ვერჩით იმ ხალხს, რატომ ვუღახავთ პატრონებს!

საბარგო სადგურში ბარგი არ ეტევა, სახალხო სადგურში ხალხი არ ეტევა და არის მუდმივი შეტევა, ჩხუბი და დავიდარაბა.

- გასწიე ეგ შენი ტომარა!
- საღლა გავწიო, შენი გასწიე

თუ კარგია.

- გასწიე-მეთქი!
- არ გაეწიე!

ტომრები ადგილზე რჩება გაუწევლად და თვითონ ტომრების პატრონები იწყებენ გაწევა-გამოწევას.

- დასცხე!
- ახია მაგაზე!
- გააშველეთ

— ხელს ნუ უშლით, დარტყან!

კუთხეში გათოშილი, მგზავრები ასკინკილაობენ, რომ როგორმე გახურდნენ გაყინულ დარბაზში. იქნება თქვით სიცილე-საკეცეს ადამიანებსო, მაგრამ ერთი აბას-თუმნიდან ჩამოსულ ან აბასთუმანში მიმავალ ავადმყოფებს კითხვით სასარგებლოა თუ არა ეს წრთობა მათთვის. მათ მაინც რას ერჩიან, ერთი ხეირიანი ღუმელი ვერ გაუკეთეს, სახალხო დარბაზში დიდპატარას ასკინკილაობა რომ არ დააწყებინონ?

ყველაფერი — ყველაფერი და ისეთ დიდწონიან სადგურს ერთი მწონავი რას ეყოფა, 75-80 კილომეტრის სიშორიდან ჩამოსული მგზავრები საათობით დგანან რიგში და მაინც საეჭვოა იმ დღეს მოუწიოთ ბარგის ჩაბარებამ. მწონავიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია, მასაც ხომ უნდა ძილი, ჭამა, დასვენება და გართობა. რომელ კანონში წერია, რომ კაცმა განუწყვეტელი იმუშაოს.

იქნება ისიც თქვან რიგში დგომაც აკაქებსო ადამიანს. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ რიგში დგომა რომ არასასიამოვნოა და ნერვების ამშლელი, ეს ისევე ნათელია, როგორც იგი იმდენ ბარგს და სადგურის სალაროს რომ ღამის ყარაულიც ესაჭიროება, მაგრამ ალბათსადღაც ვიღაც-ვიღაცებს ჰგონიათ, ისეთ დიდწონიან სადგურს ვინ თავზე ხელადებული გაქურდაცსო. მართო სადგურის უფროსი აღმოჩენილა ერთი ურწმუნო დომა და მას არა სჯერა ეს ამბავი, ამიტომაც, ღამის ყარაულობას თვითონ კისრულობს თურმე, ღამეს სადგურში ათვს, რომ ვინმემ რაიმე არ გააცოცოს და ხათაბალაში არ ჩაიგდოს თავი!

არ გეგონოთ ახალციხის სადგურის ეს ყბადასაღები სივალაღე ცნობილი არ იყოს. იციან, პატრონო, იციან, ათასჯერ შეუსწავლიათ, გადაწყვეტილებები გამოუტანიათ, მიწერ-მოწერა უწარმოებიათ, შეთანხმებულან ერთიმეორეში, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

იმედს მაინც ნუ დაკარგავთ, ახალციხელებო, ადიგენელებო, ასპინძელებო, ბოგდანოვკელებო, ახალქალაქელებო, თქვენს სადგურსაც გააფართოებენ, ააშენებენ და დაამშვენებენ, მწონავებსაც მოგიყვანენ, დარბაზსაც გაავითბობენ, ოღონდ ეს ზამთარი გაიტანეთ როგორმე, გაზაფხულზე ისედაც დათბება და მომავალ ზამთრამდე კი დიდი დროა და, ესეც რომ არ იყოს, დღეს როგორმე გაუქვლით და «ხვალემ იფიქროს ხვალისა».

ო. რ. ნი





საბჭოთაო ქვეყანა

საბჭოთაო ქვეყანა



დღე „გარდაეცვალა“ და 40 ლე პირგაუპარსავე იარა. ლექტორებმა შეიცოდეს „დედამკვდარი“ და ნიშნები უწყალობეს.

დადგა მეორე სემესტრი. საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწვევა; ახლა მამამ „წაიღო თქვენი ქირი“.

იმ პაპანებაში 40 ლე გაუპარსავე იბორიალა. შეიბრაღეს „მამამკვდარი“ და ნიშნები ჩაუწიკწიკეს.

შემოდგომამ მშვიდად ჩაიარა, მაგრამ ბოლოს დაბარებულევით, ბიძამ „გაფშკა ფეხები“.

ისევ იარა პირგაუპარსავე და ლექტორებმა ისევ აიჩვილეს გული.

თქვენი ქირი წაიღეს

არც მერე მოეშვა აჩრდილივით აკვიატებული სიკვდილი. მეორე კურსის მეორე სემესტრზე მარჩენალი ძმა „დაელუბა ტრაგიკულად“ და ის სემესტრიც მოშვებულმა წვერებმა ჩააბარა.

ხალხნო! თუ მისი ახლობელი ხართ, თავს გაუფრთხილდით როგორმე, თორემ, ვიდრე იგი ინსტიტუტს დაამთავრებდეს, სამჯერ მაინც დაიხოცებით და ამდენ პანაშვილს რა გაუძლებს!

პარაზოტი



ნან. ჯ. ლოლუასი

— უკაცრავად, ეს ცხენი ნამდვილია?!

პირი — მრჩეველი

ეს ამბავი ჯეკ დენტონმა მოგვითხრო.

— ერთ მეფეს ჰყავდა ბრძენი — მრჩეველი, რომლისაც მის უდიდებულესობას ყველაფერი სჯეროდა.

ერთხელ მეფემ სანადიროდ წასვლა განიზრახა. წასვლის წინ მოიხმო მრჩეველი და ჰკითხა:

— მოსალოდნელია თუ არა წვიმა? მრჩეველმა დაარწმუნა მეფე, რომ წვიმა არაა მოსალოდნელი.

მეფე სანადიროდ გაემგზავრა. გზაზე შემოხდათ გლეხი, რომელიც ვირზე იჯდა. გლეხმა შეაჩერა მხედრები და ურჩია დაბრუნებულიყვნენ, რადგან მალე თავსხმა იქნებაო.

მეფემ და მისმა მხლებლებმა გლეხს სიცილი დააყარეს და გზა განაგრძეს. მაგრამ რამდენიმე მილიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ მათ სანანებლად გაუხდათ საქმე: მოულოდნელად კოკისპირული წვიმა დაუშვა და მხედრებს ძაფიც არ შერჩენიათ მშრალი.

სასახლეში დაბრუნებულმა მეფემ გააგდო თავისი ბრძენი — მრჩეველი და ბრძანა მოეძებნათ ის გლეხი, რომელმაც წვამის მოხვლა იწინასწარმეტყველა...

— ერთი ეს შითხარი, — მიმართა მეფემ გლეხს, — როგორ მიხვდი, რომ წვიმა მოვიდოდა?

გლეხმა მიუგო:

— ჩემმა ვირმა მიწინასწარმეტყველა.

— ეს როგორ?

— მან ყურები დაცქვიტა, თქვენო უდიდებულესობავ, მე კი დაცდილი მაქვს, რომ, როდესაც ვირი ყურებს დაცქვიტს, აუცილებლად იწვიმებს.

მეფემ გლეხი გაუშვა და ბრძანა ბრძენი — მრჩეველის ადგილზე გლეხის ვირი დაესვათ.

— და სწორედ აქ, — შენიშნა ჯეკ დენტონმა, — მეფემ დაუშვა დიდი შეცდომა.

— მაინც რა? — ჰკითხეს მსმენელებმა.

— ის, რომ მას მერე ყოველი ვირი ცდილობს რაიმე თანამდებობა დაიკავოს.

თარგმანი უ. ჯინჯველაშვილისა

"მსოფლიო"

წარმოდინებით ელფისოიდური მობახულონი ზუანხის ჯგუფი კაცი გელის ყვავილითი წერილი მოციქობით თავადით, ღალატად ვარდისფერი ლოცვით, შეუზუნა მაკარივით მწვერავს ხასიათით.

იგი მუდამ მზიარულია, სუფთად ვაპარსული. ადვილია ეცნობა ყველას, უნაღვე უნებგობრდება და უნებლად იპყრობს. გსურთ თუ არა გსურთ, გეყარათ თუ არ გეყარათ, მაინც გეთამაშებით ბანქოს, საუბარს ვაგიბამთ ცხოვრების აე-კარგზე.

ასეთი იყო ის კაცი, რომელსაც ენობი ერქვა და შემთხვევით შვიი ზღის სანაპიროს ერთ-ერთი კურორტზე გვეყვანი.

როცა საუბრობდა, იმის ვარდისფერ ლოცვებს ისეთი ტბილი ღიმილი დასამაშებდა, თითქმის ამ კიდელს ქვეყანაზე ენობის გულის არც ერთი მუჩაზი არ დარჩენილა შესრულვებელი, ხოლო, როდესაც საცნებებელ თიის პატრონი გაიქნებდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მისთვის ახლაც აუღებელი ციხე-სიმაგრეები არ არსებობდა.

არ არსებობდა ემარჯვებოდა შაქარივით დათფული სიტყვებითი თქვენი გულის ნახი გრძნობებისათვის ხელის შეზება და წარამა-სა-სუფრად "ჰაჯანის" თქმა. ჩვენი ვაგნების დღიდან ენობი ყველგან "გელოვას" მუხაბდა. ეს სიტყვა ისეთი ღრმა გრძნობით აღმოსაფხვრავდა ხელის ფსევტირდნად, რომ თუთუ კაცს ჩვენს ურთიერთობაზე უნდა რაღაცეები ეგონებოდა მერს ავიტყვიანებდა.

სასილბოთი ყოფნისას ენობის ერთ თავი-სიფულა სანაშე მუდამ ყაღდა ჰქონდა დაღებული, და როგორც კი დამინახავდა—ღამი-მახებდა:

— "ზემოაქვანა", აქეთ მომარბანდი... ასევე მომხმარებდა აგრეთვე ვაგარი-ლე-ბელი წყლებს ფარულადან გაჩერებულ და მანინვე ლდით სავსე კიბას შემობრავა-ზებდა.

პაპიროსს კოლოფის ამოღებას ხომ ვერა-სივს ვერ დაფარავრებდი, თვალისდახამა-ზება ვაშოცხლად ელუზიონისტივით ხელის მომხმარებდა პაპიროსს, თითქმის საგანგებოდ ქიმიკად წინაშეწარი მომხმარებდი.

ურარს თქმა ჭირივით სძულდა. ძაბუე ეწი-ყნებოდა და მთელი გრძნობით ასე მისაყუ-ფრებოდა:

— კაცი, მამა ზემოაქვანა ვართ... სად არის ჩვენი ნაშუბი, ჩვენი ბატონისნება, ჩვენი ჯიჯიარია...



თელავის თანხაადადამოვროზი

— ერთი-ორი წელი კიდევ მოითმინეთ, ამხანაგი ავადმყოფობა, დგნს ძაბუე მოემატება და რინტაგვიც აშუ-შავდება.

პირველი მკითხველი


ჩემმა შეგობარმა მიამბო თავისი ცხოვრების ერთი მეტად სასიკეთლო ეპიზოდი. მამიწვე დამებდა იდეა: მოსწავლედიან იუმორისტულ მინიატურა ვამოეცო. მინაბარსი უნის წიგნაკში ჩაიყურე, სახლიში შევიღამაზე და მეორედ ღღეს გაბეთის ლტმუნებს წყა-კიობე.

— კაციე ხუმრობაა, მაგრამ ვერ დავეუდავით. მიზნობა ლტმუნებზეა. — ეს თემა საფუძვლად უდგეს უსაბეს ერთ ნაყვებად ცნობილი გავს, რომელიც ბერძნულ ენაზე მაქვს წყაიობული.

— საოკარი... ჩველამარაკე შე, რინტად უნდა წყაიობული ზელოტორი ისიდორე ღღონტს ზოქაქს ვაგვი და ისიც ბერძნულად.

— ააა... მზიარულად შესძება ლტმუნებზეა. ისიდორე ღღონტი თამადად იყო ერთ სუფრაზე, სადაც ეტრზე იგავი ჩემი ცხოვრების ეპიზოდად გავასაღე.

გ. შარაშვილი



— ჩა ავიტყვებთ თუ იცი მაგ მახასობს — დრამატურაზე გულისხმობს.

ნ. ბ. შირაშვილისა

კრამალონი

ერთ-ერთი ვაგუის რედაქციას ახალაზრდა ვაგნა წერილი ვაგნა-ზაგნა შეიკობით: — ვიბოვი ამინახია, რაგომ ზუგუას ქალი თვალს, როდესაც მას ჰქონდა მამულე მახსოვნი მილია — ვიბოვი ვამოგვარებოდა თქვენი ღღი-სუფრათი, იქნებ მამინ შევლოთ თქვენს კიობაზე მახსოვს ვა-კუსა... —

—

— ვიბოვი მომტყუილი პატი-რო, რომ დავაგინე—მორიგე-ბით მიმარბა თამარბაგუდმა თამარბაგუდმა ვამოგვარებთ უფროსს, — წამიღის წინ მო-ლოდნელად უფრო დამიკა და მხოლოდ ხაროულდან კიობე დავაგინე...

— მამ უნებეს, უფრო აგრე უნდა მიხსოვდეთ... — გავაგუე მოტყა უფროსი...

თარგმანი ლია ხორაგახა

შეიქმნა, შეიქმნა და სიყვარული

როგორ ვიყავით ქალბები

(გაგრძელება)

სანატორიუმის ვეებერთელა ეზო და შენობა ისე იყო ხალხისგან დაკლილი, როგორც თბილისის დაწესებულებები ფეხბურთის დროს. დიდი ძებნის შემდეგ თვალი მოგვარით ერთ კაცს, რომელიც თავდახრილი მიაბრძობდა.

თავდახრილ კაცს უკან დავედგინეთ. ჩვენს ძახილზე შეჩერდა.
— აგვისტოს, ეს არის სანატორიუმი „მერცხალი“?
— ნამდვილად.
— თუ ეს სანატორიუმი, მაშინ სად არიან დამსვენებლები, ან დირექტორი? იქნებ მკვდარი სათბა.

— მკვდარი სიღვრი გახლავთ.
... ჩვენს მოსაუბრეს მკლავზე შავი არწივი ეკრა.
— ბოდიში... არ ვიცოდით, გვაპატიეთ...
— მე რას მისამძიმრებთ. სიღვრი დირექტორს გარდაეცვალა.
— ალბათ თქვენ იქნებით მისი...

— საწყობის გამგე.
— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ ვინ უნდა მიგვიღოს?
— მე ვარ საწყობის გამგე. მეტყვიან, გაცივი ორმოცდაათი კილო შაქარი, გაცემ. მეტყვიან, გააფორმე ასი კილო პური, გააფორმე. ეს არის ჩემი ხელობა, კურორტნიკების გაფორმება სხვისი საქმეა.

— დამსვენებლები რაღა იქნენ?
— ძველი ნაკადიდან ვინც დარჩა, ჩვენს დირექტორს წაჰყვა, ახლებიდან ჯერჯერობით თქვენ ხართ. ბიძივობ, მაგი ჩემოდნები დააწყვეთ ჩემთან საწყობში. დაისვენეთ და მერე სატირალოში წამოდით.

— დასაფლავებზე რა გვინდა,—თქვა ნიკომ.—როცა მკვდარს არ ვიცნობდით.
— მკვდრის ნაცნობობა რად გინდათ, დირექტორს უნდა გააცნოთ თავი.
— მე მაინც ვერ წამოვალ,—უარი განაცხადა ნიკომ.
— ვერც მე,—თქვა თენგიზმა.—მე მხოლოდ დღეობაზე დავდივარ.

ლონდამ უცებ მიიღო გადაწყვეტილება:
— მოვიდვარ. ეს ძალიან საინტერესო იქნება. შენ რას იზამ, სიმონ?
— მეც წამოვალ.
როცა ჩავედით. პროცესია უკვე სასაფლაოსაკენ მიემართებოდა.

— უბერხულია. ტარასი ლუკიჩი მონახეთ და მიუსამძიმრეთ,—გვითხრა საწყობის გამგემ.
— აბა რომელია ტარასი ლუკიჩი?
— პროცესიის თავში, მსუქანი კაცი რომ დგას. თითქოს ვიბრზე, მსუქანი ხალხი მარჯვნივაც იდგა, მარცხნივაც და შუაგულშიც. ერთ მათგანიათვის. ცრემლებს რომ ღვრიდა. აქეთ-იქით ხელები დაეჭირათ და ისე მიჰყავდათ.

— ვიპოვეთ,—გავიფიქრეთ ჩვენ და მივუსამძიმრეთ. რაღაც კი ჩაილაპარაკა პასუხად, მაგრამ ვერ გავიგონეთ.
ძალე საწყობის გამგე წამოგვეწია.
— რა ქენით, კაცო, ვისთან მიხვედით?
— როგორ თუ ვისთან, დირექტორთან.

— რამ გაადირექტორა ბულალტერი? ტარასი ლუკიჩი მის მარჯვნივ იდგა.
— რა ვიცი, კი ღრიალებდა თავგატეხილივით.
— რაა, შენს უფროსს რომ ვინმე მოუკვდეს, სიცილს დაიწყებ თუ? დასაფლავების ცერემონიალი კარგა ხანს გაგრძელდა. ჯერ დებეშები წაიკითხეს, შემდეგ პირადი გამოსვლები დაიწყო.

— ახლა ლექსს წაიკითხავენ,—თქვა ლონდამ.
მართლაც გამოვიდა შავებში ჩაცმული ახალგაზრდა და დაიწყო. ლექსში გაიკიხული იყო ბუნება, რომელმაც უდროოდ მოუსპო სიცოცხლე გულით ახალგაზრდა ფეროსინე ბებიას და გამოთქმული იყო იმედი, რომ ტარასი ლუკიჩი დაძღვეს ბედის უკუღმართობას და წარმატებით გაუძღვება ფეროსინეს დაწყებულ საქმეს.

გაისმა ტაში. აღმდგომი ტარასი ლუკიჩი პოეტს გადაეხვია, ქალებმა ცხვირსახოცები გაშალეს. გრძობამორეულმა პოეტმა სადღაც დააპირა წასვლა, მაგრამ ფეხი დაუტოვა და ახალგაზრდა სამარეში ჩაეარდა. ქალებმა და ხნიერმა კაცებმა შეყვირეს.

— მაღლს იზამენ, თუ მიწას დააყრიან თავზე,—ჩაილაპარაკა ვილაცამ. სამლოვოარო პროცესია უკან დაბრუნდა.
ტარასი ლუკიჩის სახლთან პატრულები იდგნენ მკლავზე არშია-შემოვლენი კაცები და ხალხი ეზოში შეჰყავდათ.

— თუ პატივი გვეცით, ბოლომდე უნდა დაგვაფასოთ,—ისმოდა ბულალტრის როზრობა ხმა,—თქვენ, ამხანაგო, სად მიდიხართ?
— ბოდიში, არ მცალია.
— აქ მოცლილი არაგინაა, შესანდობარი უნდა დალიოთ!
— სიმონ,—მოშწია ლონდამ.—ქაჯივით ნუ მირბინარ, ჯერ უნდა მიგიაპტიყონ.

საწყობის გამგემ შეგვნიშნა.
— ჩამოდით, ტარასი ლუკიჩთან მიგიყვანთ.
პირველად ლონდა ეახლა.
— პროფესორ თუხარელის ქალიშვილი! თქვენი შვილი მამაჩემის ინსტიტუტში სწავლობს. მამამ მოკითხვა დამაბარა.

— ძალიან მონარული ვარ.
— გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი სამძიმარი საყვარელი სიღვრის დაღუპვის გამო.
ტარასი ლუკიჩმა ხელი გაუწოდა. პროფესორის ქალიშვილმა ჩამოართვა.

— ეს სიმონია,—უთხრა ლონდამ დირექტორს.
მე დავიწყე:
— მამაჩემი მილიონერი კოლმეურნეობის ბრიგადირია. წელს ჩვენს სოფელში შრომადღებე ოცდაათი მანეთი და სამი კილო სიმინდი დაარბგის.

— ლობიო თუ ხარობს თქვენში?—მკითხა ტარასი ლუკიჩმა.
— ლობიოც ხარობს და კიტრიც, მაგრამ კიტრს არ აშენებენ, რადგან ფასი არ აქვს.
ტარასი ლუკიჩის გამოჩენას მთელი სუფრა ფეხზე ადგომით შეხვდა.

— პატივცემულო და ძვირფასო მეგობრებო, მაღლობას მოგახსენებთ, რომ მოხვედით და დამაფასეთ. ახლა. როგორც ქართული სუფრის წესი მოითხოვს, უნდა ავირჩიოთ თამადა. მამაკაცებს შორის ვასახელებ ნიჭიერ პოეტს ფარნაოზ შეწირულს, ხოლო მანდილოსნებიდან—ჩვენს საპატიო სტუმარს, სახელგანთქმული მეცნიერი თუხარელის ქალიშვილს.

ახალდანიშნული პირები მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ.
ფარნაოზ შეწირულმა გაგვაფრთხილა:
— აქ იმიტომ ვართ მოსული, რომ ღვინო დავლიოთ და ოჯახს პატივი ვცეთ. იცოდეთ, წვეთი არავის შერჩება. თუ ვინმეა დაგლახებული, თქვას პირდაპირ და გვეცოდინება.

დაგლახებული არავინ აღმოჩნდა და დაიწყო სმა.
სადღეგრძელოებს არც ერთს არ ვტოვებ. ვცლი ჭიქებს და ვატყობ როგორ მიხსურდება ტენი.
სუფრა თანდათან აირია. მომენტი შევარჩიე და ბოლო სასმისი გვერდზე გადავდგი.

ფარნაოზმა თვალი შემასწრო.
— გაფუჭდი ხომ?!—იყვირა მან.
— მე არა ვარ გაფუჭებული.
— მაშ, ღვინოს რატომ იპარავ?
— კი არ ვიპარავ, გთხოვთ, წასასვლელი ვარ და მამაკითხ.

— ვაპატიოთ?—შეეკითხა ფარნაოზი სუფრას.
— არა, არა!—იყვირა ყველამ ერთხმად.—თუ ქართველია, უნდა დალიოს.
რა გაეწყობოდა, დავლიე. მერე თამადამ ვახა მოითხოვა. შუამდი კი დაცალა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო.

ხალხი აიშალა. მოსამსახურეები სუფრის ალაგებას შეუდგნენ. გაიტანეს საემები და თამადა. მე ჩემი ფეხით გამოვედი. როგორც იქნა, მოვეძებნეთ ჩვენი მანქანა და ავედით. ლონდა, როგორც საპატიო სტუმარი. წინა რიგში დასვეს

— წავედით!—დაიყვირა საწყობის გამგემ.
— მაშ პატარა მრავალქამიფერო,—წამოიწყო ბულალტერმა..
მთვარე გაკვირვებული გვიყურებდა მაღლიდან. სიმღერა არ ცხრებოდა. დროდარო ისმოდა ლონდას სიცილი და ბულალტრის როზრობი. შემდეგ მე მომეჩვენა, რომ ბულალტრის ხელი საეჭვოდ მიუახლოვდა თუხარელის ქალიშვილის მხარს.

თვალბში რაღაცა დატრიალდა.
— ჩამოიღეთ ახლავე ხელი!—იყვირე მე.
— თქვენ ხომ არ გეშლებათ, ყმაწვილო?
— ჩამოიღეთ-მეთქი, გეუბნებით!
— სიმონ, დაწყხარდი, რამ გადაგრა.
დატრქმამდე არ მისულა საქმე, მაგრამ მაინც გაგვაშველეს.

— არც კი გრცხენიათ, რა აკადრეთ!—მეუბნებოდნენ მე,—ბავში ხომ არ გგონიათ, კაცმა სამი წყება ცოლ-შვილი მოიცივლა. როგორც იქნა. ბულალტერიც დააწყხარეს.
— თავი დაანებეთ, თბილისელია. ციხიდან ერთი თვეა გამოუშვეს. ამისობაში სანატორიუმში მივედით.


ალბატებში სინათლე აანთეს და მერე ჩააქრეს. მე კარგ ხასიათზე ვიყავი და სიმღერა დავიწყე. ნიკომ ბალიში მესროლა და გაეჭმდი. მერე ხეწარი თავზე წავიხურე და დავიძინე.

(გაგრძელება იქნება)

ა. სამსონია

§) დასაწყისი იხ. 1958 წ. №№ 23, 24, 1959 წ. № 1.

ნან. ნ. მაღალნიასი



— ახლა დამიწერეთ ნიშანი, ბატონო, და დედამის ბიძაშვილს, იგივე თქვენს მეუღლეს დეიდა ქსენიას გეფიცებით, მომავალში გავამართლებ.

აგბობენ, მოგ

...კურორტი მენჯი თავლივით იზიდავს ავადმყოფებს, ქართველი იქნება იგი თუ რუსი, უკრაინელი თუ კაზახი, ჩუქჩი თუ ხუნძი.

იმ ავადმყოფებს სახსრები ჰქონიათ დაავადებული, თორემ ისე, სრულფასოვანი მოქალაქეები ყოფილან და სმენაც კარგი გააჩნიათ, მხედველობაც და, აქედან გამომდინარე, გართობა-ზედაც არ არიან უარზე. ამ რამდენიმე წლის წინათ კურორტს საზაფხულო კინოთეატრი ჰქონია ბადში, მაგრამ მენჯირობუსათვის ესოდენ დამანასიათებელ წვიმას და თქეშს არ შეუბრალდება მისი ჰერი, დახველ-

ბული სკამებიც რალაც სასწაულებრივად „აორთქლებულან“ და იყო და აღარ არის საზაფხულო კინოთეატრი.

მართალია ახლა ზამთარია და, მაშასადამე, ზაფხული აღარ არის, მაგრამ ამზობენ ისევე ზოგად და ურიგოდ არ იქნება კურორტის თავკაცებმა ამ არცთუ ისე შესამხარისხოვანი საქმის პირველხარისხოვნად მოგვარება ითავონ.

სანატორიუმ „კოლხიდას“ თავისი კინოდარბაზი კი ჰქონია, მაგრამ იქ ყველას რომ არ უშვებენ, ეს გულისტკივილი სწორედ ამიტომ გამოვთქვით.

მენჯირობული

...ცხაკაიადან დიდიკუნამდე ისეთი მშვენიერი ბუნებაა, რომ შარბათივით დაგათრობს მისი ყურება, მაგრამ, თუ ამ სიამოვნების მიღება გინდა, გირჩევენა ეგ მანძილი ფეხით გალიო, თორემ, თუ საბარგო მანქანაზე დაჯექი და ისე იმგზავრე, ასჯერ მაინც დაწყველი გაჩენის დღეს და, ბუნების სიმშვენიერით დატკობა არც კი მოგაგონდება, ოღონდ ცოცხალმა ჩააღწიო დანიშნულ ადგილს. ჰოდა, თუ იმ გზაზე საბარგო მანქანით მგზავრობა გადაწყვიტო, უთუოდ გაიარე საეკიმო შემოწმება, გულდასმით დაადგენინე გაუძღებ თუ არა გაუთავებელ ჯაყუაყუს და, ყოველ შემთხვევისათვის, ურიგოდ არ იქნება, ანდერძსაც თუ დატოვებ, რას იზამ, კაცი ვართ, ყველაფერია მოსალოდნელი, ხომ შეიძლება შენთანაც განმეორდეს, რომ „იყო კაცი და აღარ არის კაცი“.

ცხაკაია-დიდიკუნის გზატკეცილი უბრალო გზატკეცილი არ გეგონოთ, იგი დიანაც რომ რესპუბლიკური მნიშვნელობისაა და მისი მოვლა-პატრონობა დავალებული აქვს გზატკეცილების მთავარ სამმართველოს მც-11 საგზაო საექსპლოატაციო უბანს, რომელსაც რეზიდენციად ქ. ცხაკაია აურჩევია, ხოლო უფროსად პატივცემული ა. პ. ულენტი.

გეგმეკორის რაინელმძღვანელობას არაერთხელ უცნობებია ა. პ. ულენტი-სათვის, გამოიჩინე შენებური ფხიანობა და ვაჟაკურად ამ გზისათვის მიგვიხედო, მაგრამ ულენტი სხვა საქმეებით ყოფილა გართული და ამ საქმისათვის თავს არ იცხებებს.

...ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში თურმე არსებობს ყველაფრის შემსწავ-

ლელი წრე გარდა მანქანის მართვის შემსწავლელი წრისა. ამაზე იტყვონ: „კაცს მამის სული გაუშვას და მან მინაცვლისას ფიცულობდაო“.

...დმანისის რაიონის სოფელ ახას სასმელი წყალი წამლადაც არ მოეძებნება. ახელები ნატრობენ: —ან, ნეტავი ჩვენს სოფელს კარგი გზები, ღამე — სინათლე და დღისით, თუ ექიმი არა, ექთანი მაინც მისცაო. ახას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე კი თურმე გულზე მჯილს იცემს და გაიძახის: ახია ახელებზეო.

...კავშირგაბმულობის თე-ლავის რაიკანტორის მუშაკები ისეთ ოპერატიულობას იჩენენ გზავნილებათა და ამანათების გაგზავნა-გამოგზავნაში, რომ მათი სისწრაფე და ოპერატიულობა კუსაც კი შეეხარბებო.

ეს ამბავი სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში რომ გაუგიათ, ძალზე მოხწონებიან, და ჩვენ უკეთესს ვიზამთო: გადაუწყვეტიათ — დამტარებელი სულაც არ გამოეყოთ და უურნალ-გაზეთების ხელმძღვრელები თვითმომსახურებაზე გადაეყვანათ, თუ ვინცობაა, უურნალ-გაზეთების მიღება ვინმეს დაუგვიანდა, თავის თავს დააბრალოს, თუ უნდოდა, დროზე მობრძანებულიყო და წაეღო.

ჩვენი ურნალის № 22-ში დაიბეჭდა „კლასობანა“, რომელიც შეეხებოდა თეორიწყაროს რაიონში ერთსა და იმავე ოთახში სხვადასხვა კლასების ერთდროულ მეცადინეობას, რის გამოც ურნალის თასი გადაეცა ამავე რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ულენტს.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გამოირკვა, ამხ. ულენტი ამ საქმეში არაფერ შუაშია, სწავლების ასეთი მეთოდი დაშვებული ყოფილა.


რედაქტორი — ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალნიასი, მ. ქარჩავა, ო. კელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, ხაერთო განყოფილების — 2-13-29.

გამომც. № 2. ხელმოწ. დასაბ. 5/1-1959 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ავტორებს ხელნაწერები არ უბრუნდებათ. მეცვ. № 1423. უფ. 00805. ტირ. 40.000.



მკურთავალი
მ ი ლ ე ბ ა
მრთაბათს & ჰაიასნაჰს
2-ლან 3-საათაჰა.



ნაბ. დ. ერისთავისა

— ვაა, მე დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე
ხალხს ვიღებ, ეს კი ორიდან სამამდე?!
— როგორ, თქვენც მმართველი ხართ?
— არა, ფოტოგრაფი.